21 ნოემბერი 2023

სს "თიბისი ბანკის" (ს/ნ 204854595) როგორც სს "თიბისი ლიზინგის" (ს/ნ 205016560) დედა კომპანიისა და 100%-იანი წილის მფლობელის, 2023 წლის 13 დეკემბერს ჩასატარებელი რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონისა და სს "თიბისისი ლიზინგის" წესდების 8.2.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და მე-8.2.2. მუხლის შესაბამისად დირექტორი, გაიოზ გოგუა (პ/ნ 01001032462) იწვევს რიგგარეშე საერთო კრებას და აცხადებს:

1. წესდების შესაბამისად მოწვეულ იქნას სს "თიბისი ლიზინგის" (ს/ნ 205016560, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #76 "მ") რიგგარეშე საერთო კრება.
2. კრებაზე მოწვეულ იქნას სს "თიბისი ბანკი", საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, სარეგისტრაციო ნომრით: 204854595, როგორც სს "თიბისი ლიზინგის" 100% წილის მფლობელი.
3. საერთო კრება ჩატარდეს:
   - მისამართი: საქართველო, თბილისი, მარჯანიშვილის #7
   - თარიღი: 2023 წლის 13 დეკემბერს
4. განსახილველი საკითხი:
   - სს "თიბისი ლიზინგის" სადამფუძნებლო შეთანხმებისა და განახლებული წესდების დამტკიცება.

დანართი:

სს "თიბისი ლიზინგის" სადამფუძნებლო შეთანხმება და განახლებული წესდება ქართულ ენაზე.

სს „თიბისი ლიზინგის" დირექტორი

გაიოზ გოგუა

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N231611403
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	21.11.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მედეა გვაზავა
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7,II სართული.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	593373834
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	14586004134423

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას ოცდასამი წლის ოცდაერთ ნოემბერს მე, ნოტარიუს მედეა გვაზავას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კ.მარჯანიშვილის ქ.#7, II სართულზე მომმართა სს„თიბისი ლიზინგის" დირექტორმა გაიოზ გოგუამ (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან სს „თიბისი ლიზინგის" შესახებ. განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23162761, 10/11/2023 12:28:56, ს/ნ # 205016560). მან მოითხოვა წინამდებარე წერილზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოადგენილი პირადობის დამდგენი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად გაიოზ გოგუამ (დაბ.28.12.1975წელს თბილისში, მცხ. თბილისი ნინო ჟვანიას ქ. **N 67 ბ. 31**, პ/ნ **#01001032462**, პ/მ # **20IA50176**, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ **23.06.2021**) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მან ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა ხელმოწერა, რასაც ვამოწმებ.

გაიოზ გოგუამ დოკუმენტს ხელი მოაწერა სანოტარო ბიუროს შენობის გარეთ, მისამართზე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი # 76მ.

ეგზემპლარი: 1 (ერთი) ეგზემპლარი.

საზღაური: 41.00 ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507 დადგენილების 31-ე და 34-ე მუხლები), პლიუს რეგისტრაციის საფასური: 5.00 ლარი (მ.39) და დღგ 7.38 ლარი (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად), სულ: 53.38 ლარი.

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა

ნოტარიუსი მედეა გვაზავა NOTARY MEDEA GVAZAVA 01008018186 საქართველო GEORGIA